1940

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰათნეტი



1940

№5

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეთხუთმეტე

# პიონერი

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქ. განსახკომის ერთობლივი ჟურნალი

მაისი 1940 წ. № 5

„ПИОНЕРИ" журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии

გამომცემლობა „კომუნისტი", რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

## შინაარსი

| | | გვ. |
|---|---|---|
| 1. | სანდრო შანშიაშვილი,—სამაისო (ლექსი) . . . . . . . . . . . . | 1 |
| 2. | დარია ახვლედიანი,— სიმღერა (ლექსი) . . . . . . . . . . . . | 1 |
| 3. | ლავრენტი ჯიჯინაძე,—მატყუარა მაგული (მოთხრობა) . . . . | 4 |
| 4. | ნინო ნაკაშიძე,—სახიფათო ჩვეულება (პიესა) . . . . . . . | 5 |
| 5. | გიორგი კაჭახიძე,—მხედრები (ლექსი) . . . . . . . . . . . | 5 |
| 6. | თურმან შანშიაშვილი,—მეგობრები (მოთხრობა) . . . . . . . . | 9 |
| 7. | ალფონს დოდე,—მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება (თარგმანი მანანა ხაზიურისა | 10<br>13 |
| 8. | მ. აფაქიძე,—ნუგზარის მწყერები (მოთხრობა) . . . . . . . . | 16 |
| 9. | ნორჩ ავტორთა შემოქმედება . . . . . . . . . გარეკანის მე-3 | გვ. |
| 10. | გასართობი . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მე-4 | გვ. |

ჟურნალის დასურათება ეკუთვნის მხატვარ ი. ქოქიაშვილს და ვ. ჯაფოშვილს.

ყდის მხატვრობა შესრულებულია ი. ქოქიაშვილის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ან. დულარიძე
პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირბილაძე

გადაეცა წარმოებას 22/V 1940 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V 1940 წ.

ქაღალდის ზომა 62×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9½×14

მთავლიტის რწმუნებული № 2369 შეკვ. № 654 ტირაჟი 16.550 პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 38

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანდრო ქლენჯი

# სამაისო

იმღერეთ, იმღერეთ, ხმამ გადაუაროს
გადაშლილ ტრამალებს, მთებსა და ლაჟვარდებს...
გაჰკვეთე ზღვები და, მაისის ნიავო,
გადაეც სალამი ჩვენს მოძმე ვაჟკაცებს!

მომავალ რიჟრაჟის იმედი ახარე,
რომ გულო ჩაგრულთა სიცოცხლით აევსოს...
ვაშა და დიდება გაზაფხულს საყვარელს!
სალამი, დროშებით მორთულო მაისო!

ირთვება მდელო და მწვანეა მთა-ბარი,
ცაში ვარსკვლავები მზესავით ანთია,
ბულბულთა გალობით გულია დამტკბარი,
ცისკარი კრემლიდან სხივს აფრქვევს განთიადს.

სხივს აფრქვევს... დროშები ალისფრად გაშლილა
და ყველგან ბელადის სახელი გაისმის,
სამშობლო დიადი გმირებით ავსილა,
ვაჰაკაჟებს დღეები, გვაკაჟებს მაისი.

იმღერეთ, იმღერეთ, ხმამ გადაუაროს
თვალუწვდენ ტრამალებს, მთებსა და ლაჟვარდებს...
გაჰკვეთე ზღვები და, მაისის ნიავო,
გადაეც სალამი ჩვენს მოძმე ვაჟკაცებს!

დარია ახვლედიანი

# სიმღერა

[illegible]
მივლინებაშიაო, ისე სწრაფად და მოხდენილად მიპასუხა, რომ ამაში იჭვიც არ შემპარვია.

— მე ისეთი სამსახური მაქვს, მივლინებაში სიარული არ მეხება... ასეთი ტყუილი როგორ მოიგონა?!—განცვიფრდა მამა.

— ეს მე არ ვიცოდი, მერე ვუთხარი:მაშ,დედა მოიყვანე მეთქი. დედა ავად არისო. მეც აღარა-



P. S.

მაგულის ამბავი სულ მართალია. იგი მ
მოვატყუეო, მაგრამ ვინ დარჩა მოტყუებულ
რეობაში თავის თავს იცნობს, კარგი იქნება
რება, ან რა უშლის ხელს სწავლის გმირაი
უკეთესი გამოდგეს.

სანეტაროდ აბიბინდა
ჩვენი ქვეყნის ბაღი, ყანა,
სტალინის მზემ სიამე და
სიხარული მოგვიტანა.

○

ვინ გაბედავს ჩვენთან შებმას,
როს მზე გვადგა მცველად, ფარად,
საბჭოეთის გმირთა-გმირებს
რას დააკლებს მტრის მუქარა!

**ლავრენტი ჭიჭინაძე**




თამარი და მაგული სკოლიდან მოდიოდნენ. ისინი რაღაცაზე კამათობდნენ, ქუჩიდან ქუჩაზე რომ გადადიოდნენ, უცებ ამ ორ გოგონას ავტომ შუაში გაუქროლა. თუმცა თამარი იქით იყო და მაგული აქეთ, მაგრამ ორივეს ძალიან შეშინებოდა. მაგული მუშტების ქნევით ემუქრებოდა შოფერს:

— ჰაი, შე საზიზღარო, შენა, თუ მანქანის წაყვანა არ იცი, რატომ მართავ?—მაგულმა ეს სიტყვები კი თქვა, მაგრამ მანქანა უკვე შორს მიქროდა.

ამასობაში თამარიც მოვიდა. ისინი გაცეცებული უცქეროდნენ ერთმანეთს.

— მაგული, რა მიწის ფერი გაქვს, რა ძალიან შეგშინებია?!

მაგულიმ ნიავისაგან აწეწილი თმები გაისწორა და თვითონ კიდევ თამარს ჰკითხა:

— შენ რაღამ შეგაშინა? შენ რაღამ დაგიკარგა ფერი?

— მე შენი გატანის შემეშინდა... რომ არ გაგესწრო?! ოჰოჰო, რა ცუდი ამბავი მოხდებოდა! — შეშფოთებული თამარი ცალ ხელს ლოყაზე იცაცუნებდა.

მაგულიმ უცებ გადაიხარხარა:

—იჰ, რა სულელი ხარ... როგორ, მე ის მომასწრებდა? მაშ, ტყუილად ვყოფილვარ ფიზკულტურელი. მე ძალიან დიდზე ვხტები, სირბილში ბიჭებიც ვერ მასწრებენ...

— მაგრამ მანქანა კიდევ უფრო სწრაფად გარბის, - დასძინა თამარმა.

— ირბინოს, მე რას დავეძებ, - ეს სიტყვები რომ თქვა მაგულიმ, კვლავ თავის ფერზე იყო და აღარც მანქანა ახსოვდა. — მე დღეს ისეთი ვინმე მოვატყუე, რომელიც სულ ასე იკვეხის: მე უკითხავადაც კი მივხვდები, გაკვეთილი ვინ იცის და ვინ არაო...

თამარი მაშინვე მიხვდა, რომელიღაც მასწავლებელზე რომ იყო ლაპარაკი, მაგრამ ვის გულისხმობდა, ეს ვერ გაიგო, ამიტომ სიცილით ჰკითხა:

— რომელი მასწავლებელი, რომელი? — თანაც დაუმატა: - რა ეშმაკი გოგო ხარ, რა ეშმაკი!

ეს სიტყვები თავის შექებად მიიღო მაგულიმ და უფრო თავმომწონედ უპასუხა:

— ჩვენი კლასის ხელმძღვანელი, ქართულის მასწავლებელი...

—ოჰ, ქართულის მასწავლებელი მართლა კარგია, რა მშვენივრად გვიხსნის ხოლმე. გაკვეთილის გარეშე ამხანაგივით გველაპარაკება... — თამარი ქართულის მასწავლებლის ქებას აღარ ამთავრებდა, აქებდა და აქებდა.

— კარგია, —თან ტუჩები უცნაურად დამანჭა მაგულიმ, —კარგია, მაგრამ მე კი მოვატყუე.

— როგორ? როგორ მოატყუე?

— გაკვეთილზე დავიგვიანე. გამიჯავრდა, მითხრა, შენ ყოველთვის იგვიანებო, მერე ჯიბრით გაკვეთილიც მკითხა. მე ვუთხარი: ახლა გაბრაზებული ვარ მეთქი და არ ვუპასუხე. ამაზე კიდევ უფრო გაწიწმატდა მასწავლებელი, მერე ვითომ დამშვიდდა, ჟურნალი გადაფურცლა, გაიღიმა და სულ დამშვიდებით მომმართა: მაგული, შენ თურმე არც სხვა საგნებში მეცადინეობ. აი რამდენი ცუდი გქონიაო და ბოლოს მითხრა: მამა უნდა მოიყვანოო, მე ვუპასუხე: მამა მივლინებაშია - მეთქი... მაშინ დედა მოიყვანეო. დედა კი ავადაა - მეთქი. როცა ყველაზე ასე მოხდენილად ვუპასუხე, მერე მითხრა: როცა მამა დაბრუნდეს მივლინებიდან, ან თუ დედა ადრე მორჩეს, ერთერთი აუცილებლად მოიყვანეო. კარგი - მეთქი, ვუთხარი. ორი დღის შემდეგ დაავიწყდება და ასე გადავრჩები. ახლა კი დედაც შინ არის და მამაც.

— გოგო, ტყუილი რატომ უთხარი?! მერე, ცუდები რომ გექნება, მაშინ რაღას იზამ? - ჰკითხა თამარმა.

— იჰ! იქამდის მივაწიო და მერე...

— შენ გგონია, მეოთხედის დასრულებას დიდი ხანი უკლია? არა, ისიც მალე მოვა.

— მოვა და მოვიდეს. ვისწავლი და კარგ ნიშნებს მივიღებ.

— ასე თუ იზამ, კარგი იქნება, თორემ რაზმის ხელმძღვანელიც გამოგაცხადებს როგორც ცუდოსანს და შეგარცხვენს.

მაგულიმ აღარაფერი უპასუხა. როგორღაც თამარის ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ძალიან ჩააფიქრა, თითქოს გაბრაზდა კიდეც. ჩემს საქმეში რას ერევაო, ცოტა ხნი[illegible]

და თა[illegible]

დედა [illegible]

გოგო[illegible]

მასწ[illegible]

გამ[illegible]

სიტ[illegible]

მა[illegible]

დას რ[illegible]

მერე ი[illegible]

დედაჩე[illegible]

მაგული [illegible]


...ქოქიაშვილს და ვ. ჯაფოშვილს.

...ულებულია ი. ქოქიაშვილის მიერ.

პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირბილაძე

ქაღალდის ზომა 62×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₂×14

...კომბინატის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

მან ჯერ ოთახში გაიარ - გამოიარა, მერე აივანზე გავიდა, გადახედა განიერ ქუჩას, მერე ისევ ოთახში შევიდა, გადმოიღო წიგნი, ხან ერთი, ხან მეორე, ფურცლა, ფურცლა, მაგრამ გული ვერც ერთს ვერ დაუდო და ისევ ამხანაგთან წასვლა ამჯობინა.

—მალე მოვალ, დედა,—კარებში რომ გავიდა, მაშინ დაუძახა დედას.

— ჭკუით იყავი, შვილო, ჭკუით, — მაგული უკვე ისე შორს იყო, რომ დედის სიტყვები არც გაუგონია.—ნეტავ უწიგნოდ როგორ სწავლობს ჩემი გოგონა?—მოწყენით თავისთვის თქვა მაგულის დედამ.

სადილი უკვე მზად იყო, როცა მამაც მოვიდა, სად არისო, მაგული იკითხა, მაგრამ ამ დროს ისიც შემოვიდა,

— ოჰო, ჩემი გოგონა, ჩემი კუდრაჭა, —მოეფერა მამა, მერე ჰკითხა, დღეს გაკვეთილები ხომ იცოდიო?

— ისე კარგად ვიცოდი, რომ მასწავლებელსაც გაეხარდა, მითხრა: ყოჩაღი გოგონა ხარო.

— ასე უნდა, შვილო,—მოუწონა მამამ.

მაგულის ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ მის სიმართლეში ეჭვი არავის შეეპარებოდა.

—მამა,—მიმართა მაგულიმ,—დღეს ჩემი ამხანაგები კინოში მიდიან, მეც წავალ...

— გაკვეთილები იცი?

— ვიცი!

— ჰოო... მაშ, წადი.

— რა კარგია ჩემი მამიკო, — მაგულიმ ენის მოჩლექით მიმართა, ხტუნვა დაიწყო. რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, — ჩემო მამიკო, იცი... — მაგრამ ამ სიტყვების თქმა კი მოასწრო და ენაჩავარდნილივით გაჩუმდა,

— ჰო, მითხარი, მითხარი, შვილო, რა გინდა?

მაგრამ მაგულის ხმა ველარ ამოაღებინა. მამა ერთსა და იმავე კითხვას უმეორებდა: რა მოგივიდაო, ხოლო მაგული ხმას მაინც აღარ იღებდა. სწორედ ამ დროს აივანზე ამოვიდა მაგულის კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მაგულიმ შორიდანვე დაინახა. მამამ იცნო თავისი შვილის მასწავლებელი, ხელი ჩამოართვა, მაგული კი თავჩაღუნული იდგა. მასწავლებელი ამბობდა:

— მაგულიმ ძალიან გვაწყენინა ამ ბოლოხანებში, იგვიანებს, გაკვეთილებსაც არ ამზადებს. დღეს დავავალე: მამა მოიყვანე მეთქი. მამა მივლინებაშიაო, ისე სწრაფად და მოხდენილად მიპასუხა, რომ ამაში იჭვიც არ შემპარვია.

— მე ისეთი სამსახური მაქვს, მივლინებაში სიარული არ მეხება... ასეთი ტყუილი როგორ მოიგონა?!—განცვიფრდა მამა.

— ეს მე არ ვიცოდი, მერე ვუთხარი:მაშ,დედა მოიყვანე მეთქი. დედა ავად არისო. მეც აღარაფერი მითქვამს. გავჩუმდი, ალბათ, მაგული ფიქრობდა, რომ მე მომატყუა.—მერე მაგულის გადახედა,—ხომ მართალს ვამბობ?—მატყუარა გოგონა გაქვავებულივით იდგა. მასწავლებელი კვლავ მამას მიუბრუნდა,—მაგრამ აი, მე თქვენ ყველაფერი შეგატყობინეთ. მოსწავლის ამდენი ტყუილი მე არ გამიგონია.



მამამ ღიმილით გადახედა მაგულის, ვითომ გულიც არ მოსვლია, და უთხრა:

— აკი კარგად ვსწავლობო? აკი ხვალის გაკვეთილებიც ვიციო და კინოში წასვლასაც მთხოვდი?! კარგი, რაკი სწავლა არ გინდა, იყავი ეგრე, იარე ამხანაგებში, იარე კინოებში.

მატყუარა მაგული იდგა თავჩაღუნული და სირცხვილი წვავდა.

მასწავლებელი სადილზე მიიპატიჟეს, მაგრამ არ მოიცადა, ასეთ საქმეზევე მიიჩქაროდა სხვაგან.

დედა ისე იყო შეწუხებული, რომ ვეღარც ავს ამბობდა და ვეღარც კარგს.

მერე მამამ უთხრა მაგულის:

— მოდი, შვილო, ჭამე სადილი. აბა, ამდენი ტყუილის მთქმელს რაღა უნდა გითხრა, ალბათ, ცოტა ხნის შემდეგ შენი სიზლაზის დასაფარავად იმასაც კი იტყვი, მამა გარდაიცვალაო.

ისე რცხვენოდა მაგულის, რომ მამისათვის პირდაპირ შეხედვასაც ვეღარ ბედავდა. როცა მაგულის დედ - მამა სადილად ისხდნენ, მატყუარა გოგონა ფრთხილად შევიდა მეორე ოთახში, დაჯდა თავის კუთხეში. მან ოთხი თუ ხუთი წიგნი გადმოაწყო ცალკე. აქედან ჯერ ერთი აიღო, კარგახანს კითხულობდა უხმოდ, მერე მეორე გადმოიღო, შემდეგ მესამე...

ამასობაში მამა სადილს მორჩა, ხოლო მშიერი მაგული ისევ წიგნებს კითხულობდა.

— შვილო, აი ფული,—მამამ კინოსთვის საჭირო ფული მაგიდაზე დაუდო, —წადი კინოში, ნუ დაიგვიანებ.

მაგულის თითქოს არც დაუნახავს, კვლავ წიგნის კითხვას განაგრძობდა, ხოლო როცა წიგნების კითხვას მორჩა, ფრთხილად ადგა და დედასთან მივიდა:

—დედი, მე ახლა ყველა გაკვეთილი ვიცი, უთხარი მამას, მოვუყვები.

დედამ მაგულის თხოვნა შეასრულა, მაგრამ მამამ უპასუხა:

— სკოლაში მოვალ, იქ მეტყვიან.

სადილი გვიან ჭამა მაგულიმ, მამისაგან მიცემული კინოს ფული მეორე დღესაც იქ იდო, შემდეგაც დიდხანს არავის მოუკიდია ხელი მისთვის. მაგული სკოლიდან რომ დაბრუნდებოდა ხოლმე, თითქოს ეს ფული აგონებდა: ხომ გახსოვს, ტყუილზე როგორ დაგიჭირესო.

P. S.

მაგულის ამბავი სულ მართალია. იგი მე თვითონ ვნახე ამხანაგთან რომ ტრაბახობდა: მასწავლებელი მოვატყუეო, მაგრამ ვინ დარჩა მოტყუებული, ახლა ეს შენც კარგად იცი მკითხველო. ვინც მაგულის მდგომარეობაში თავის თავს იცნობს, კარგი იქნება რედაქციას რომ მოსწეროს, თუ როგორ მოხდა მისი გამოსწორება, ან რა უშლის ხელს სწავლის გმირად გახდომაში. იქნება, მოთხრობისათვის თქვენი ცხოვრება უფრო უკეთესი გამოდგეს.

ავტორი.



ნინო ნაკაშიძე

# სახიფათო ჩვეულება

(ზღაპარი 2 მოქმედებად. თავისუფალი თარგმანი ვასილევისა და მარშაკის პიესიდან).

## მოქმედი პირნი.

1. დედა.
2. უფროსი შვილი.
3. უმცროსი შვილი.
4. პირველი მლესავი.
5. მეორე მლესავი.
6. მეზერი დალაქი.
7. მსაჯული.
8. პირველი თანაშემწე (მაღალი, წვრილი, წვრილი ხმით ლაპარაკობს).
9. მეორე თანაშემწე (სქელი, ლაპარაკობს მოხი ხმით).
10. თევზით მოვაჭრე დედაკაცი.
11. ქურდი.
12. ყარაული.

## მოქმედება 1

(ოთახი, მაგიდა, გრძელი სკამი. დედა ზის და კერავს, უფროსი შვილი ჯოხს თლის, უმცროსი შვილიც იგასავე აკეთებს, რასაც უფროსი).

**უფროსი შვილი** — ამ ჯოხს გავთლი და მათრახს გავაკეთებ.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**უფროსი შვილი** — მათრახს გავაკეთებ და ცხენს შევკაზმავ.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**უფროსი შვილი** — შევკაზმავ ცხენს, შევაჯდები ზედ და წავალ წყალზე.

**უმცროსი შვილი** — მეც...

**უფროსი შვილი** — წავალ წყალზე, ჩავვარდები შიგ და დავიხრჩობი.

**უმცროსი შვილი** — მეც.

(დედა და უფროსი შვილი იცინიან).

**დედა** — ეჰ, შვილიკო, შვილიკო, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, მიატოვე ცუდი ჩვეულება — მეთქი. ვინც რას იტყვის, შენც იმას იმეორებ: „მეც, მეც!“ ნახავ, ეს შენ უბედურებას შეგამთხვევს.

**უფროსი შვილი** — მართალია, ძამიკო, უნდა გადაეჩვიო. პატარა ხომ აღარა ხარ, სხვისი ჭკუით ცხოვრება არ შეიძლება.

**უმცროსი შვილი** — მე თვითონაც ვიცი, რომ სხვისი ჭკუით ცხოვრება არ შეიძლება.

**უფროსი შვილი** — აბა, იცოდე, კარგად დაიხსომე. დედილო, საჭმელი არაფერი გაქვს? მომშივდა.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**დედა** — (უფროს შვილს) — რა გინდა, შვილიკო? ყველი და პური, თუ ფაფა?

**უფროსი შვილი** — ფაფა მინდა.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**დედა** — შენ რომ ფაფა გძულს?

**უფროსი შვილი** — შენც რა გენაღვლება, დედიკო, რაკი გთხოვს, მიეცი ფაფა.

**დედა** — (აძლევს ორივეს თითო თეფშ ფაფას) — აბა, ჭამეთ, გენაცვალეთ.

(უფროსი შვილი მადიანად ჭამს, სწრაფად, უმცროსი ჭამს ზიზღით და ნელა).

**უფროსი შვილი** — მე, დედილო, ერთ თეფშს კიდევ შევჭამ.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**დედა** — შენ რომ ჯერ ერთიც არ შეგიჭამია? (აძლევს უფროს შვილს მეორე თეფშ ფაფას).

**უფროსი შვილი** — მე, დედი, დღეს ისეთი სიზმარი ვნახე...

უმცროსი შვილი — მეც.

დედა — (უფროსს) — აბა, რა სიზმარი ნახე?

უფროსი შვილი — ვნახე, ვითომ ჩვენ ძროხას მეორე თავი გამობმოდა, მაგრამ ნამდვილი კი არა, შუშის თავი...

უმცროსი შვილი — მეც.

უფროსი შვილი — დედიკო, უთხარი, ნუ მიშლის. მაგასთან არაფერზე ლაპარაკი არ შეიძლება!

დედა — (მკაცრად) — ნუ უშლი ძმას ლაპარაკს! გააჩერე ენა, თორემ სახლიდან გაგაგდებ... (უფროსს) — აბა, აბა, მიამბე, მერე რა მოხდა?

უფროსი შვილი — მერე ვითომ ძროხა მინდორში წავიყვანე.

უმცროსი შვილი — (ჩუმად) მეც.

უფროსი შვილი — და უცებ ისე დაიბღავლა, რომ...

უმცროსი შვილი — (უფრო ხმამაღლა) — მეც.

უფროსი შვილი — ავიღე ჯოხი და რაც ძალი და ღონე მქონდა დავარტყი შუშის თავზე.

უმცროსი შვილი — (კიდევ უფრო ხმამაღლა) — მეც.

უფროსი შვილი — (გაჯავრებული) სტყუი, შენ არ გინახავს ძროხა სიზმარში, მე ვნახე.

აბა, ერთი თქვი, რა ფერის შუშის თავი ჰქონდა შენ ძროხას?

უმცროსი შვილი — შენსას რა ფერის ჰქონდა?

უფროსი შვილი — აი, ხედავ, არ იცი! ძროხას ლურჯი თავი ჰქონდა.

დედა — (უმცროს შვილს) უკანასკნელად გეუბნები, — დაჩუმდი! (უფროსს) მერე, მერე, შვილიკო? მიამბე.

უფროსი შვილი — დავარტყი თუ არა ჯოხი ძროხას, თავი მოვარდა და მის ადგილას მშვენიერი მზეთუნახავი კი გაჩნდა და დავინახე...

უმცროსი შვილი — (ჩუმად) — მეც.

უფროსი შვილი — მაშინვე მივირბინე მზეთუნახავთან და ხელზე ხელი მოვკიდე...

უმცროსი შვილი — (ხმამაღლა) — მეც.

უფროსი შვილი — (წამოვარდება გაბრაზებული) — სტყუი, შე საძაგელო, შენ არ გინახავს მზეთუნახავი! იცი, დედიკო, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ან მე წავალ სახლიდან, ან ეს გააგდე!

დედა — მართალია, შვილიკო, მაგრამ ესეც შვილია და, აბა, სახლიდან როგორ უნდა გავაგდო? აი, მეორე ოთახში გავაგდებ და იცხოვროს იქ თავისთვის. იქნება მარტო ჭკუა ისწავლოს, (უმცროსს) გადი ახლავე! (უმცროსი შვილი ჩუმად არის).

უფროსი შვილი — ხომ გაიგონე, რა გიბრძანა დედიკომ, აიბარგე, ჩქარა!

დედა — შენ გელაპარაკებიან, არ გესმის? გადი ახლავე!

უფროსი შვილი — ჩანს, ეს არსად არ წავა და მე კი მაგასთან ცხოვრება არ შემიძლია. რაკი ეს არ მიდის, ისევ მე წავალ. მშვიდობით, დედიკო! (მიდის).

უმცროსი შვილი — მეც. მშვიდობით, დედიკო! (მიჰყვება ძმას).

დედა — (მარტო).

უფროსი შვილი — (მობრუნდება) — მე, დედიკო, განგებ წაველი, რომ ჩემი ძმა წამეყვანა. ახლა ის მალე არ დაბრუნდება. გავედით თუ არა ჰიშკარში, ორი მღესავი შეგვხვდა, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ქალაქში წავიდეთ, ბაზარშიო. გაიგონა თუ არა ჩემმა ძმამ, მაშინვე დაიძახა „მეც“ და იმათ გამოუდგა. მე კი შინ გამოვიქეცი.

დედა — (ტირილით) — ვაიმე, რაღა ვქნა! არ დაიკარგოს, რა მეშველება, წავალ, მოვძებნი!

უფროსი შვილი — ნუ გეშინია, დედიკო, მღესავებს გამოჰყვება და მოვა. თუ არ მოვა, მე თვითონ მოვიყვან.



უმცროსი შვილი.

ფარდა.

## მოქმედება 2.

(ბაზარი ქალაქში).

პირველი მღესავი — (ყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს) — ვის უნდა დანებისა და სამართებლების გალესვა? ვის უნდა...

მეორე მღესავი — ვლესავთ დანებს, სამართებლებს, სამართებლებს, დანებს... (ხალხი მოდის და მოაქვთ გასალესავად დანები, მაკრატლები და მღესავები ლესავენ).



მეორე მღესავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბებერი დალაქი** — (გამოდის თავის დუქნიდან) — ჰეი, ვინ ლესავს აქ სამართებლებს?

**პირველი მლესავი** — მე!

**უმცროსი შვილი** — მეც.

**დალაქი** — (უმცროს შვილს) — აჰა, გამილესე ეს სამართებელი რაც შეიძლება ჩქარა და კარგად, თვითონ ჩვენ მსაჯულს ვპარსავ ხოლმე წვერს ყოველდღე და თუ კარგად არ გავპარსე, ისე გაბრაზდება, რომ...

**უმცროსი შვილი** — (მიდის ჩარხთან, დაიწყებს ლესვას და სამართებელს გატეხს).

**პირველი მლესავი** — ყოჩაღ, ძალიან არ გალესე! აკი გეუბნებოდი, ნუ ჰკიდებ ხელს მეთქი, მაგრამ შენ მაინც გაიძახოდი „მეც, მეც“ და, აჰა, ხომ გატეხე სამართებელი!

**დალაქი** — როგორ თუ გატეხა? ჩემი საუკეთესო სამართებელი? იცით თქვენ თუ არა, ეს სამართებელი ორი ოქრო ღირს! მოიტა ჩქარა ორი ოქრო, თორემ ახლავე სასამართლოში წაგიყვან!

**უმცროსი შვილი** — მე ფული არა მაქვს, კეთილო კაცო!

**დალაქი** — როგორ თუ ფული არა გაქვს! მე არ ვიცი, გაქვს თუ არა, მაშ, შენ ჩარხს წავილებ!

**უმცროსი შვილი** — ჩარხი ხომ ჩემი არ არის.

**მეორე მლესავი** — (იცინის) — სადა აქვს მაგას ჩარხი...

**დალაქი** — მაშ, რაღა მლესავია, თუ ჩარხიც არა აქვს?

**პირველი მლესავი** — არც მლესავია.

**დალაქი** — მაშ, რად გამომართვა სამართებელი გასალესად?

**მეორე მლესავი** — შენ რად მიეცი?

**დალაქი** — თვითონ მითხრა, მლესავი ვარო.

**პირველი მლესავი** — თვითონ რაც გინდა იმას დაირქმევს.

**დალაქი** — მე რა, ჩემთვის სულერთია, ჩემსას არ დავკარგავ. (უმცროს შვილს) დაიცა, ერთი, ახლავე აქ, ბაზრის მოედანზე, მსაჯული ამობრძანდება, ქურდები უნდა გაასამართლოს, იმასთან გიჩივლებ.

**უმცროსი შვილი** — მეც.

**დალაქი** — ერთი ამას უყურეთ! შენ კიდევ მე უნდა მიჩივლო, შე ავაზაკო? დაიჭით ეგ...

**ხალხის ხმები** — მსაჯული მობრძანდება, მსაჯული მობრძანდება! (გამოჩნდებიან მსაჯული და ორი თანაშემწე).

**თანაშემწეები** — გზა სამართალს, გზა სამართალს! სავარძელი მსაჯულს, სავარძელი მსაჯულს! (მსაჯულს მოართმევენ სავარძელს. დაჯდება, თანაშემწეები იქით-აქეთ დაუდგებიან სავარძლის უკან).

**თანაშემწეები** — აბა, ვინ დაარღვია კანონი ამ სამი დღის განმავლობაში? აბა, ვინ დაარღვია კანონი? ვინ...

**დალაქი** — (დაიჩოქებს მსაჯულის წინაშე) ბრძენთა-ბრძენო მსაჯულო! აი, ეს სამართებელი ამან გამიტეხა. ღირს ორი ოქრო... გატეხილი სამართებელი კი, აბა, რასაკვირველია, რა ეღირება... მაგრამ სამართებელი პარსავდა თქვენ მაღალკეთილშობილ მსაჯულებას და მე მარჩენდა. ახლა კი თქვენ თვითონ განსაჯეთ, თქვენო მაღალკეთილშობილო მსაჯულებავ, ეს კაცი თურმე სრულიად მლესავი არ ყოფილა, ასე გასინჯეთ, ჩარხიც კი არ ჰქონია...

**მსაჯული** — ძალიან კარგი, მომეცით კანონების წიგნი. (თანაშემწეები მოიტანენ დიდ წიგნს და დაუკავებენ მსაჯულს წინ.)

**მსაჯული** — (ფურცლავს წიგნს). სხვისი ნივთების გაფუჭებისათვის ტახტრევანის.. კარეტის.. ურმის.

**ყველა** — არა... არა...

**მსაჯული** — ჩოხის... ქულაჯის...

**ყველა** — არა... არა...

**მსაჯული** — შამფურის... ხოხობის შესაწვავად რომ ხმარობენ...

**ყველა** — არა, ეს არა, ეს არა!

**მსაჯული** — (განაგრძობს კითხვას) — მაკრატლის... სამართებლის... აჰა, სამართებლის...

**ყველა** — ეს არის, აი, ეს არის!

**მსაჯული** — უნდა მიესაჯოს... (ფურცლავს) ღირებულება... გაფუჭებული ნივთის ფასი. (დალაქს). შენი სამართებელი, მგონი, ორი ოქრო ღირდა?



დალაქი.



მოსამართლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალაქი — ახლა ამისთანა სამართებელს ორ ოქროდ სად იშოვნი, მე ვფიქრობ, ამისთანა სამართებელი სამი ოქრო ღირს.

უმცროსი შვილი — მეც.

მსაჯული — მაშ, ბრალდებულმა გადაიხადოს სამი ოქრო. არიან კიდევ დამნაშავენი?

თანაშემწეები — აი, ქურდი!

მსაჯული — აბა, ამან რა მოიპარა?

თევზით მოვაჭრე დედაკაცი — თქვენო მაღალკეთილმოწყალებავ, მოწყალეო ბატონო მსაჯულო, წუხელის ღამე გამიტეხეს დუქანი და მომპარეს ერთი კასრი ტარანი, ერთი ყუთი დამარილებული ფარგა და ერთი გობი ცოცხალი კალმახი. ეს ბიჭი დაიჭირეს, როცა კალმახებიანი გობი მიჰქონდა და სხვა ქურდები კი ვერ იპოვნეს.

მსაჯული — (ქურდს) — აბა, რას იტყვი? შენ გაქურდე თევზის დუქანი?

ქურდი — (ტირილით) — დიაღ, მე გავქურდე.

უმცროსი შვილი — (ტირილით) — მეც.

მსაჯული — ორივე დამნაშავეა თევზის ქურდობაში. მომიტანეთ კანონების მეორე წიგნი.

(თანაშემწეებს მოაქვთ უფრო დიდი წიგნი და დაიკავებენ მსაჯულის წინ).

მსაჯული — (ფურცლავს და კითხულობს), — თევზის მოპარვა სხვისი ტბიდან, სხვისი ფაცერიდან... სხვისი თეფშიდან... აჰა, აი, აი... თევზის დუქანი გაქურდა... ორივეს ორ-ორი წლის ციხე მიესაჯა. არიან კიდევ დამნაშავენი?

თანაშემწეები — აი ყაჩაღი, ვაჭარს დაეცა გზაში და უნდოდა ყელი გამოეჭრა.

მსაჯული — (ყაჩაღს) — თუ გინდა, რომ სასამართლომ მოწყალედ გაგიკითხოს, გულწრფელად გვიამბე ყველაფერი, როგორ იყო საქმე.

ყაჩაღი — (დაიკრეფს ხელებს ჯვარედინად გულზე და უხეში ხმით) — მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც დედაჩემს გავექეცი სახლიდან...

უმცროსი შვილი — (ბაძავს ყაჩაღს) — მეც.

ყაჩაღი — მე შევუამხანაგდი ქურდებს და ყაჩაღებს. ოცჯერ გამასამართლეს ქურდობისათვის და ათჯერ ყაჩაღობისათვის.

უმცროსი შვილი — მეც.

ყაჩაღი — გუშინ ღამე კი მე გადავწყვიტე ვაჭრისათვის ყელი გამომეჭრა, გამეძარცვა და ამიტომ დავუხვდი გზაჯვარედინზე.

უმცროსი შვილი — მეც.

მსაჯული — როგორ თუ შენც?! პირველად ვხედავ, რომ ერთ კაცს ამდენი ბოროტება ჩაედინოს. მომიტანეთ ყველაზე უფრო მკაცრი კანონების წიგნი!

(თანაშემწეები მოართმევენ კიდევ უფრო დიდ და სქელ წიგნს).

მსაჯული — (ფურცლავს და კითხულობს), — ცემა... ჩხუბი... ხრამში გადაგდება... თავდასხმა... ყაჩაღობა... აჰა, აი, აი... უნდა მიესაჯოს... უნდა მიესაჯოს... უკაცურ კუნძულზე გადასახლება.

ყაჩაღი — რაც გინდათ მომისაჯეთ, სადაც გინდათ გადამასახლეთ, სულერთია, მე მაინც გავიქცევი.

უმცროსი შვილი — მეც.

მსაჯული — დაუყოვნებლივ შეუყარეთ ხუნდები ორივე ყაჩაღს და ახლავე წაიყვანეთ ციხეში!

(თანაშემწეები უყრიან ორივეს ბორკილებს).

უფროსი შვილი — (ძალად შემოიჭრება ხალხში), — დაიცათ, დაიცათ! რა ამბავია, რისთვის შეუყარეთ ამას ბორკილი? ეს ჩემი ძმაა.

თანაშემწეები — იმისთვის, რომ მაგან გატეხა სამართებელი, გაქურდა თევზის დუქანი და თავს დაეცა ვაჭარს, უნდოდა ყელი გამოეჭრა და გაეძარცვა, იმისთვის, რომ...

უფროსი ძმა — მერე და როდის მოასწრო ამდენი ავაზაკობის ჩადენა?

თანაშემწეები — წუხელ ღამით.

უფროსი ძმა — როგორ? წუხელ ღამე ჩემ ძმას შინ ეძინა და მხოლოდ ამ დილით წამოვიდა სახლიდან.

მლესავები — მართალია, მართალი. დღეს წამოვიდა სახლიდან. ჩვენ ერთად მოვედით ქალაქში.



პირველი თანაშემწე.



მეორე თანაშემწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ს ა ჯ უ ლ ი — არაფერი არ მესმის. დამნაშავე თვითონ გამოტყდა. ოჰ, რა დახლართული საქმეა, პირდაპირ შევიშლები...

უ მ ც რ ო ს ი ძ მ ა — მეც.

უ ფ რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — ეჰ, ძმაო, შენ კიდევ ვერ მიატოვე შენი ჩვეულება!

მ ს ჯ უ ლ ი — რა ჩვეულება?

უ ფ რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — მაგას, ბატონო მსაჯულო, ბავშვობიდან სულელური ჩვეულება აქვს თანდაყოლილი: ვინც რა უნდა თქვას მაგასთან, ყველაფერზე ამბობს „მეცო".

მ ს ა ჯ უ ლ ი — არასოდეს ამგვარი არაფერი გამიგონია ჩემ სიცოცხლეში!

უ მ ც რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — მეც.

(ყველა იცინის).

მ ს ა ჯ უ ლ ი — ხა-ხა-ხა! რა სასაცილოა! ჩემ სიცოცხლეში პირველად ვიცინი სასამართლოში.

უ მ ც რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — მეც.

მ ს ა ჯ უ ლ ი — ხა-ხა-ხა! მოვკვდები ამდენი სიცილით... ხახაზა...

უ მ ც რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — (იცინის) — მეც.

მ ს ა ჯ უ ლ ი — (მშვიდდება) — ძალიან მხიარული ბიჭი ყოფილა! შეუძლებელია, რომ ეს ქურდი და ყაჩაღი იყოს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ. (უმცროს შვილს) მე იმედი მაქვს, რომ ამ სამწუხარო მაგალითის შემდეგ თქვენ არასოდეს აღარ გაიმეორებთ: „მეც" სანამ კარგად არ იფიქრებთ, რა გამოვა ამ თქმისაგან. ძალიან გთხოვთ დაიხსომოთ ჩემი გულითადი თხოვნა...

უ მ ც რ ო ს ი შვილი — მეც.

მ ს ა ჯ უ ლ ი — (ადგება, უ მ ც რ ო ს შვილს), — მე კიდევ გთხოვთ, რაც გითხარით, არ დაგავიწყდეთ.

უ მ ც რ ო ს ი შ ვ ი ლ ი — მე... (უცებ შეჩერდება) არა, არა, მეტს აღარ ვიტყვი.

(იცინის, ყველანი იცინიან).

ფ ა რ დ ა.



ყაჩაღი.




თავს უჭერენ კოხტად ცხენებს,
მხედრებია მკლავმაგარი,
ვაჟკაცური სიმღერებით
მოდიან და მოსდევთ ქარი.

მებრძოლია მათი ცხენი,
მჭრელი არის მათი ხმალი,
არ აშინებთ ტყვია ცხელი,
არც სიკვდილის შავი თვალი.

თუ დაგვჭირდა, გრიგალივით
გადირბენენ მთებს და ველებს,
და ელვარე მათი ხმალი
მტერს სიცოცხლეს დაუბნელებს.

# მეგობრები



## თურმან შანშიაშვილი

(დასასრული)

მეორე დღეს გვიან მივიდა სკოლაში, კრება ორ საათზე დაიწყო. გუდა შეიპატიჟეს.

თავმჯდომარედ სიკო აირჩიეს, მდივნად მეათე-კლასელი ნატო. ორი საკითხი იდგა განსახილველად: ლიტერატურული წრის გამგეობის ანგარიში და ახალ წევრთა მიღება. ლიტწრის გამგეობის თავ-მჯდომარემ ათ წუთში მოათავა მოხსენება, შემდეგ სიტყვები დაიწყო და გუდამ ვერც კი გაიგო, რო-გორ გადავიდნენ მეორე საკითხზე.

თავმჯდომარემ პაიჭაძის ანკეტის კითხვა დაიწყო. გუდას ჟრუანტელი შეუდგა, ხანდახან მგელივით უყურებდა სიკოს, იფიქრებდით, ან ახლა ეცემა, ან ახლაო.

— პაიჭაძე ნიკოლოზ დავითის ძე, დაიბადა 1920 წელს. მამა ექიმი, დედა...

გუდამ თავი ჩაღუნა, ნერვიულობისაგან იატაკს დაუწყო ქუსლით სრესა.

— დაგვენახოს, რომელია! — წამოიძახა ვილაცამ.

— პაიჭაძე, გთხოვთ წინ გამოხვიდეთ! — თქვა სიკომ.

— კიდევაც რომ მელაპარაკება? — ღვარძლიანად გაიტარა გულში გუდამ და წამოდგა. მუხლი მოეკ-ვეთა, გაბრუვდა, მაგიდისაკენ ძლივს წალასლასდა.

— იქნებ შეკითხვა აქვს ვისმე? — თქვა სიკომ ანკეტის წაკითხვის შემდეგ.

— შეკითხვა რა საჭიროა, მომეცით სიტყვა, — დაიძახა ვილაცამ უკანა მერხიდან.

შეკითხვა არავის ჰქონდა. მსურველს სიტყვა მი-სცეს. მაგიდასთან მეათეკლასელი ლადო აღიმართა. ხმამაღლა დაიწყო:

— ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ პაიჭაძეს. იგი უწესრიგო მოწაფეა, ამავე დროს ჩამორჩენილია. ის ჩვენი ორგანიზაციის ღირსი არაა. პაიჭაძე სახელს გაუტეხს კომკავშირს. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ მისი მიღებისა. იგი ორგანიზაციაში კი არა, სკოლაში დასაყენებელიც არ არის.

—მართალია, მართალი!—გაისმა წამოძახილები.

გუდა აკანკალდა. ფითრის ფერმა გადაჰკრა, დამნაშავე ძაღლის თვალებით შეხედა კომიტეტის მდივანს, რომელიც წყნარად ისმენდა ორატორის საუბარს.

— სიტყვა ხიმიკაურს ეკუთვნის! — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

— მართალი იყო აქ გამოსული ორატორი, პაი-ჭაძე არაა კომკავშირის ორგანიზაციის ღირსი, ბე-ვრია მაგალითი, რომ ამხანაგი ნიკოლოზი უწესრი-გოდ იქცევა და სხვებს აბრალებს. მაგალითად, ამასწინათ ქიმიურ ლაბო-რატორიაში ორი კოლბა გახეთქა, აბა რამოტელა ხმა ექნებაო, და მე დამაბრალა.

— მართალია! — წამოიძახა ვილაცამ.

— გარდა ამისა, მინა ჩაამტვრია და ალუღიშვილ სოფოს კიდევ ნაწნავის ბოლო მოსჭრა გაკვე-თილზე. ამისთანა კომკავშირელი ჩვენ არ გვინდა!

ორატორმა ცხვირწინ ჩაუარა გუდას და ადგილზე დაჯდა.

„უწესრიგოა, ღირსი არაა მიღებისა“, „შეგვარ-ცხვენს“ - ისმოდა ყველა ორატორის სიტყვაში.

— ორიოდე სიტყვა მათქმევინეთ, ამხანაგებო! — თქვა თავმჯდომარემ და ხმაში კანკალი დაეტყო.

სიჩუმე მოედვა კრებას. გუდას ხელები აუცახ-ცახდა.

— ნახე, რა დღეს დააყრის! — წასჩურჩულა ნუ-ცამ მეზობელს.

თავმჯდომარემ ჩაახველა, გუდას გადახედა და დაბალი ხმით დაიწყო;

— მე კარგად ვიცნობ ამხანაგ პაიჭაძეს, ორი წე-ლიწადია ვმეგობრობთ. ერთ კლასში ვართ და ერთმანეთის ავი და კარგი ვიცით. აქ გამოსული ორატორები მართალნი არიან ზოგ რამეში. მართალია, რომ იგი მოუსვენარია, ხშირად აწყენინებს ამხანაგებს. მაგრამ ყველა ამაში მთლად პაიჭაძე არაა დამნაშავე, ზოგ რამეში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი.

— შენ რომ გცემა, არც იმაშია დამნაშავე? — წამოსძახა ხიმიკაურმა.

— მე რომ მცემა, მაშინ მე ვიყავ დამნაშავე. მე გავკარი მხარი, ცოტა ფიცხია, ვერ მოითმინა და ხელი შემომიბრუნა.

თავმჯდომარემ ეს სიტყვები თავჩაღუნულმა წა-რმოსთქვა.

— ამხანაგები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან პაი-ჭაძის მიღებისა. ამ ამხანაგების საყურადღებოდ ვი-ტყვი, რომ იგი ყოველთვის ასეთი არ იქნება. იგი გამოსწორდება.

ბოლოსა და ბოლოს კომკავშირი აღმზრდელობითი ორგანიზაციაა და მას შეუძლია აღზარდოს ისეთი ამხანაგები, როგორიც ნიკოლოზ პაიჭაძეა. მე წინა-დადება შემომაქვს იგი მივიღოთ წევრად.

კომიტეტის მდივანმა სიტყვა აიღო და თქვა: —მე სავსებით ვეთანხმები ამხანაგ ხელაშვილის წი-ნადადებას.

გუდამ თავი აიღო, წინ წამოდგა. თავმჯდომარემ ნება დართო. ძლივს დაიწყო:

— ხელაშვილმა მოგატყუათ, ის არ დამჯახებია და არც დამნაშავე ყოფილა ჩვენ ჩხუბში, ჩემი ბრალი იყო, მე ვკარი ხელი და მე ვცემე მას.

როცა თავმჯდომარემ წინადადებას კენჭი უყარა, ხელები ტყესავით აიმართნენ.

მდივანმა ოქმში ჩაწერა: მიღებულია ერთხმადო. გაცხარებული კამათით დაიშალნენ ყმაწვილები. სიკო, თინა, მიხეილი, თედო და სხვები ერთად მიდიოდნენ, გუდა უკან მისდევდათ და ნამალევად გაჰყურებდა სიკოს, მაგრამ ბრაზით კი არა, რაღაც თავისადმი საყვედურის გრძნობით.

ყმაწვილებმა მოუცადეს ნიკოლოზს, შემოეხვივნენ და ქუჩის ერთი მხრიდან მეორისაკენ გაემართნენ, იცინოდნენ, გუდას შეჰხაროდნენ, ბეჭებზე ხელს უცაცუნებდნენ. სიკო უკან ჩამორჩა. მთელი სიჩქარით მომავალი ვაგონი შენიშნა.

ყველა გაიქცა. გუდა კი ახლა უახლოვდებოდა ლიანდაგს. ისე იყო გაბრუებული, რომ აღარაფერი ესმოდა, მიწას ჩაჰყურებდა და ნელა მიაბოტებდა.

ელვის სისწრაფით ისკუპა სიკომ, წიგნები გადაყარა და ზურგში დაეტაკა მეგობარს. გუდა წინ გავარდა და მხოლოდ ახლა შენიშნა ვაგონი. რაღაცა გულსაკლავი ყვირილიც შემოესმა, ნაცნობი ხმა იყო თითქოს, ტრამვაიც უჩვეულო ძალით დამუხრუჭდა.

— რომ მიდიხარ თავდაღუნული, გვერდზე არ უნდა გაიხედო! — დაუყვირა მძღოლმა.

ვიღაცა ქალმა დაიწივლა. ხალხი შეჩოჩქოლდა, შეტრიალდა გუდა და სიკო დაინახა, ვაგონის წინა მხარეს ეგდო. რომელიღაც გამვლელმა გაზეთი წააფარა გასისხლიანებულ ადგილს.

გუდამ თითის მაგვარი რაღაც შენიშნა მხოლოდ, თმა ყალყზე აუდგა, შეაჟრჟოლა და გულზე შემოაწვა. გაფითრებული შევარდა ხალხში, მაგრამ ახლოს არ მიუშვეს.

სიკო შფოთავდა, ძლივს სუნთქავდა.

თინა მოშორებით იდგა და ხმამაღლა ქვითინებდა, თვალებზე ხელებს იფარებდა. მიხეილი, თედო და სხვები ბრბოში იწევდნენ, ამხანაგის ნახვა ეწადათ.

ცოტა ხნის შემდეგ სასწრაფო დახმარება მოვარდა. აიყვანეს დაშავებული და მიეფარნენ.

ცეცხლმოკიდებულივით ტრიალებდა გუდა. თვალწინ ედგა სიკოს გასისხლიანებული მარცხენა ხელი და გაფითრებული სახე.

— ნეტავ რა მოუვიდა? რა მოსტყდა? თითები მოეჭრა? იქნებ ფეხიც? საკუთარ თითებზე დაიხედა და ცივი ჟრუანტელი შეიგრძნო. ადგილიდან მოწყდა. ვიღაცას დაეჯახა, სადღაც ქვას წამოჰკრა ფეხი, მაგრამ მაინც გარბის, გარბის და არავინ იცის საით.

რამდენიმე ხნის შემდეგ გუდას საავადმყოფოდან გამოჰყავდა მეგობრები, თან უამბობდა: მამა ამბობს, სამი კვირის შემდეგ ადგებაო. მარცხენა ხელის ნეკი აქვს წაჭრილი და ლავიწის ძვალი აქვს გატეხილიო. ახლა კარგაა, აღარა წუხს, უვნებლად მორჩებაო.

საავადმყოფოში დამარტოებულ სიკოს კი ფიქრები შემოესია, ნაღველი შემოაწვა და კარადას მიაშტერდა. წიგნი შენიშნა, ძლივს მისწვდა და ფურცვლა დაუწყო.

გუდას ალგებრის წიგნი იყო. რვეულიც იპოვა. „სახლში სამუშაო“ — ამოიკითხა რვეულში და ალგებრულ სიდიდეებს გადაავლო თვალი. კვადრატული განტოლება იცნო.

მომვლელ ქალს ხვეწნით გამოართვა ფანქარი. ბევრი ეწვალა. როგორც იქნა, გამოიყვანა. წიგნი და რვეული თავის ადგილას დადვა და იმ ღამეს ტკბილი უშფოთველი ძილით დაეძინა.

დილაადრიან გუდა შემოიჭრა და ქაქანით უთხრა:

— დავიღუპე, რვეული დამრჩა აქ, მაგალითები არ გადამიწყვეტია და მასწავლებელი მომკლავს!

სიკომ არაფერი უთხრა, მხოლოდ წიგნზე მიუთითა.

— საღამოს კიდევ გნახავ, — წაიბურტყუნა გუდამ, — ჯიბიდან ლოყაწითელი ვაშლები ამოაწყო, საბნის ქვეშ შეუგორა და გაქანდა.



მასწავლებელი შესული იყო, როცა აქაქანებული გუდა კარებში შეგორდა.

— აბა, ვინ შეასრულა სავარჯიშო?

მოწაფეებმა რვეული ამოიღეს.

— არ არის სწორი!—მასწავლებელმა რვეული მოწყვეტით დაუგდო თინას. მიხეილსაც გაუსინჯა.

— არც შენია სწორი! არც შენი! არც შენი!

ისმოდა მასწავლებლის მონოტონური ხმა და გუდას უახლოვდებოდა. გუდა მუჭის ოდენა გახდა, აიწურა, მერხის ქვეშ შეძრომას ლამობდა.

— რვეულიც არა გაქვს, აბა რა გაქვს!—დაუყვირა წინ მჯდომს და გუდას მიმართა:

— არც შენა გაქვს რვეული?

— რვეული როგორ არა მაქვს,—თქვა გუდამ და თავი დაღუნა.

— მაჩვენე!

რვეული ძლივს ამოცურდა მერხიდან, რაღაცა საშინელის მოლოდინში გუდას ფერი ეცვალა. „არ გამომიყვანია და ვატყუებ“—გაუელვა თავში და აკანკალდა.

მასწავლებელი კი პასუხს აგვიანებდა, რაღაც დაბეჯითებით ჩასცქეროდა გუდას რვეულს.

— აი ეს სწორია!—თქვა ბოლოს მან.

განცვიფრდა ყმაწვილი. მოულოდნელი რამ გაიგონა, მაგრამ რვეულს რომ დახედა, სიკოს ხელი იცნო. ამ წუთს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ მზად იყო გაქცეულიყო, შემოხვეოდა და დიდხანს, დიდხანს ეკოცნა ავადმყოფი მეგობარი.

მასწავლებელმა ყველას ნამუშევარი ნახა.

— აი ესაა სწორი გადაწყვეტა. პაიჭაძემ დღეს ყველას გაჯობათ.

ყველა განცვიფრებით შეჰყურებდა პაიჭაძეს, არა სჯეროდათ, მაგრამ ფაქტი ღაღადებდა.

იმ დღეს უკანასკნელი გაკვეთილიდან გაიპარა. საავადმყოფოს შესასვლელში დაუკითხავად შეიჭრა და სიკოსაკენ ქლოშინით გაქანდა.

მეკარემ იცნო დოსტაქრის ვაჟი და ხმა არ გასცა.

სიკოს თვალი მილულული ჰქონდა, ფეხაკრეფით მიეპარა, მოწიწებით დაიხარა და სასოებით აკოცა, შემდეგ ფრთხილად დაიხია უკან და ხმაამოუღებლივ გავიდა.

სიკომ თვალი გაახილა და კმაყოფილებით ჩაიღიმა.

5

მაისმა სურნელების კალთა უკანასკნელად დაიბერტყა და ერთი წლით გაუჩინარდა. ივნისმა შფოთიანი დღეები მოიტანა სკოლაში.

პაიჭაძე არც თუ ისე შეშფოთებული იყო, დაგორავდა ეზოში და ჩვეულებრივ მხიარულობდა.

— რა ენაღვლება მისი საქმე ალჩუზეა,—ამბობდნენ მოწაფეები.

მართლაც რომ ალჩუზე იყო ნიკოლოზის საქმე. საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. ყველა აქებდა, მასწავლებელიც და მოწაფეც. კედლის გაზეთშიც შეაქეს, ჯილდო მისცეს. თვით დედამ, საკუთარმა დედამ, გულში ჩაიკრა, ჩაკოცნა და უთხრა: „დღეს დირექტორმა მადლობა გადამიხადა, მითხრა, რომ კარგად სწავლობ“.

ყველა ამით ის აღტაცებულია, აღარ იცის, რით უპასუხოს სიკოს, სჯერა კი, რომ ისაა მისი წარმატების მოთავე.

ბიბლიოთეკა

6

ჩვენი ყმაწვილები უკვე მეათე კლასში გადავიდნენ, სამივენი ფრიადოსნები გახდნენ. საცაა სოფელში გაემგზავრებიან. სიკოს ბებია დიდი ხანია კახეთს წავიდა. ლორთქიფანიძეებიც ემზადებიან სააგარაკოდ.

სიკო დამარტოვდა. ავეჯი ეუცხოვება. კედლები თითქოს მოიღუშნენ, იატაკმაც თალხი მოიხვია, ძველებურად აღარ ღუის მრეში მაყვალისფრად.

საათი ისევ ტიკტიკებს. ახლა უფრო გულგამწვრილებელია მისი ხმა. სიკო ზის და წიგნს ფურცლავს. კედლიდან ჩიხტაკოპში გამოწყობილი ბებიას სურათი გადმოიყურება.

აი დაღამდა, ნათურამ თვალები გააჭყიტა. ოთახში ზღაპრული გველეშაპივით გაწვა დუმილი და ყველა ჭუჭრუტანაში შეყო თავისი უხილავი ბრჭყალები.

კაკუნი გაისმა. თინა შემოვიდა. შესცინა მეგობარს.

— ხვალ კოლექტიურად მივდივართ თეატრში, წამოხვალ?

— გუდა წამოვა?

— ყველანი იქ იქნებიან, წამოხვალ?

— წამოვალ.

მეორე საღამოს თინამ, პირობისამებრ, მეგობართან ჩაირბინა. სიკო სამზარეულოდან გამოეხმაურა. გოგონამ კარი შეაღო და რას ხედავს: სახელოები წაუწევია და რეცხავს. ცოტა არ იყოს შეყოყმანდა გოგონა. პირველად ხედავდა ასეთ სურათს, შემდეგ წუხილი დაეტყო სახეზე.

მეორე დღეს სიკო შესჩიოდა თინას.

—გუშინ სარეცხი მომპარეს. უცნაურია, ჭუჭყიანი ხალათი ვის რად უნდოდა?

ამავე დროს ლორთქიფანიძეთ ბინაში თინას დედა ეკითხებოდა მოსამსახურეს:

— ვისია ხალათი?

— გუშინ თინამ მოიტანა. შემეხვეწა გარეცხეო. სიკოსი უნდა იყოს.—დედამ არაფერი თქვა.

საღამოს სიკო გვიან დაბრუნდა. სინათლე აანთო და შეჩერდა. საწოლზე გაქათქათებული ხალათი დაინახა. შეფიქრიანდა: მიხვდა, ვისი ოინიც იყო.

ივნისი კვლავ მოადგა თბილისის ზღურბლს და მზემ სიცილი გადმოღვარა ქალაქის თავზე.

სიკომ თვალი გააჭყიტა. ფანჯრიდან ლორთქიფანიძეთ აივანზე შემომჯდარი სხივი დაინახა და წამოხტა. საჩქაროდ ჩაიცვა.

პირის დაბანა ვერ მოასწრო, რომ თინამ ჩამოსძახა:

— მე მოგასწარი, აკი გითხარი, მძინარა ხარ მეთქი!

— პირს ახლა ვიბან, თორემ დიდიხანია ავდექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლექსი ისწავლე?

— ვისწავლე!

— აბა, ჩამოვალ და გავიმეოროთ.

— ჩამოდი.

დღეს მეათეკლასელების საზეიმო გამოშვება იყო. თინას, სიკოს და გუდას გოეთეს „ტყის მეფე" უნდა წარმოედგინათ სცენაზე. გუდა პოეტი იყო, სიკო— მამა, თინა—შვილი.

გოგონა სიცილით შემოვიდა:

— გუდა რომ გვაკლია, რეპეტიცია ივარგებს?

— რა დიდი საქმეა, აიღე და მისი სიტყვები შენა თქვი.

— აბა, კარგი, დავიწყებ.

„ეს ვინ მოჰქრის ასე გვიან ღამე ცხენით ქარში? მამა არის, ხელთ უპყრია მას თავისი ბავშვი". შემდეგ სიკო ჩაერია.—„ჩემო ბიჭო, რათა მალავ სახეს. . .

გოგონამ შეაწყვეტინა:

— კი, მაგრამ ხომ ქალი ვარ, მასწავლებელმა რად დამავალა ბიჭის როლი?

— გოეთე ამ ლექსში ხომ პატარა ბავშვსა გულისხმობს, ბავშვის ხმა კი ქალის ხმას უფრო ჰგავს. მაშინ სინათლესაც ჩააქრობენ, რადგან მოქმედება ღამით წარმოებს, და სიბნელეში კი ვერავინ დაგინახავს, ბიჭი ხარ თუ გოგო.

— ხმაზე მაინც მიცნობენ.

— მეც კი მიცნობენ, მაგრამ რა ვუყოთ. შენის აზრით გამოდის, რომ ლექსის ინსცენირებისათვის მოხუცი კაცი და ბავშვი უნდა მოიყვანონ და ისიც უეჭველად გერმანელები. გარდა ამისა, პოეტის როლში გუდა კი არ უნდა გამოიყვანონ, არამედ თვით გოეთე უნდა გააცოცხლონ და ის ალაპარაკონ. ძაან ბევრს კი გავუგებთ ვაიმარელ ბრძენს! — სიცილით თქვა ვაჟმა.

ამ დროს კაკუნი გაისმა.

ვაჟი გაეხმაურა: „მოდი, მოდი!"

გუდა შემოვიდა და მოიბოდიშა:

— ცოტა დამაგვიანდა, მაპატიეთ.

— ეგ არაფერია! — მხიარულად მიაძახეს დამხვდურებმა.

ახლა კი უშეცდომოდ გაიმეორეს „ტყის მეფე" და დაასკვნეს, რომ საღამოს კარგად გამოვიდოდნენ.

მართლაც კარგად გამოვიდნენ მეგობრები.

საზეიმო სხდომაზე გამოაცხადეს, რომ თინამ, გუდამ და სიკომ ფრიადზე დაამთავრეს საშუალო სკოლა. ჯილდოებიც დაურიგეს.

დიდი წარმატება ხვდა მათ ინსცენირებას. ასე გასინჯეთ, გაამეორებინეს. იქუხა ტაშმა. აზვირთდა მოწონების შეძახილები და მადლობის ნიშნად ხელიხელ გადაჭდობილმა სამმა ფრიადოსანმა ერთად დახარა თავი.

აღელვებულნი გამოვიდნენ სკოლიდან. აღარ ესმოდათ, რა ხდებოდა მათ ირგვლივ. უხაროდათ, განიცდიდნენ და უხაროდათ.

რამდენიმე უბანი ჭიკჭიკით ჩაათავეს. ბაღის ქიმთან შეჩერდნენ. აქ იყრებოდა მათი გზები. . .

— მომავალ წელს სად აპირებ შესვლას? — იკითხა გუდამ.

თინამ ხმა არ ამოიღო.

— მე უნივერსიტეტში შევალ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, — თქვა სიკომ.

— მეც იქ უნდა შევიდე,—დაუმატა გოგონამ.

— აკი საექიმოზე შედიოდი, შენ არ მითხარი?

— გითხარი, მაგრამ მერე გადავიფიქრე.

დაემშვიდობნენ... თავთავიანთი გზით წავიდნენ...

ბედნიერი გზა, მეგობრებო!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფონს დოდე



# მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება



საფრანგეთის გამოჩენილ მწერალს ალფონს დოდეს მიმდინარე წლის მაისში შეუსრულდა დაბადებიდან ასი წელი. მის ენამახვილ და ლამაზ-მხატვრულ კალამს ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები, მათ შორის, ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილი რომანი: „ტარტარენ ტარასკონელი".

ფრანსე მამაიმ, მოხუცმა მეჭიანურემ, რომელიც დროდადრო საღამოობით დაიარება ჩემთან ერთი ქიქა შემთბარი ღვინით დროს გასატარებლად, ერთხელ მიამბო პატარა სოფლური დრამა, რომლის მოწმე იყო ჩემი წისქვილი ამ ოცი წლის წინათ. კეთილის ნაამბობი გულს მომხვდა და მე შევეცდები გადმოგცეთ ისე, როგორც მოვისმინე.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ძვირფასო მკითხველო, რომ თქვენ ზიხართ განსაცვიფრებლად სურნელოვანი ღვინით სავსე ხელადის წინ და რომ ყველაფერ ამას მოგითხრობთ მოხუცი მეჭიანურე.

ჩვენი მხარე, ძვირფასო ბატონო, ყოველთვის როდი იყო მკვდარი მხარე, რომელშიაც სიმღერასაც ვერ გაიგონებთ, როგორც ახლა. ოდესღაც მასში ყვაოდა ფქვილსაფქვავი სარეწაო და ყველა მხრიდან, თითქმის ათი მილის სიშორიდან ფერმერები ეზიდებოდნენ ჩვენთან თავის პურს დასაფქვავად... ირგვლივ მთელი ბორცვები დაფარული იყო წისქვილებით. მარჯვნივ და მარცხნივ, საითაც კი გაიხედავდით, ყველგან მოჩანდა ძლიერი მშრალი ქარისაგან ფიჭვებს ზევით მბრუნავი ფრთები და სავსე ტომრებით დატვირთული სახედრების მწკრივი, რომელიც გზის ზევით და ქვევით მიემართებოდა... მთელი კვირის განმავლობაში სიამოვნებით ვისმენდით მაღლობებიდან ბუკის ხმას, მათრახების ტყლაშუნს და მუშების ყიჟინს წისქვილებში... კვირაობით ჩვენ მთელი ჯგუფით მივდიოდით წისქვილებში. იქ მეწისქვილენი გვიმასპინძლდებოდნენ მუსკატის ღვინით. მეწისქვილის ცოლები, არშიიანი თეთრი მოსახვევებითა და ყელზე ოქროს ჯვრებით მორთულნი, კარგები იყვნენ, როგორც ზღაპრული დედოფლები. მე ჩვეულებრივ თან მიმქონდა ჭიანური, და შუაღამემდე ყველანი ვცეკვავდით ფარანდოლას. ეს წისქვილები, როგორც ხედავთ, იყო სიამაყე და სიმდიდრე ჩვენი კუთხისა.

სამწუხაროდ, პარიზიდან ფრანგებს მოეპრიანათ ორთქლის წისქვილის დადგმა გზაზე ტარასკონში. ხალხი თანდათანობით მიეჩვია იქ საფქვავის ზიდვას და საბრალო ქარის წისქვილები დარჩნენ უსაქმოდ. ერთხანს ისინი შეეცადნენ შებრძოლებას, მაგრამ ორთქლი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და — ვაგლახ! — ეს წისქვილები ძალაუნებურად დაიხურა. სახედრები უკვე აღარ ჩანდნენ... მეწისქვილეების მშვენიერმა ცოლებმა გაყიდეს თავიანთი ოქროს ჯვრები... აღარ იყო მუსკატის ღვინო! აღარც ფარანდოლა იყო! და რარიგ არ ცდილობდა მისტრალი[1], წისქვილის ფრთები მაინც უძრავი რჩებოდნენ... შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის ერობამ ბრძანა აელოთ ეს დაფხავებული ნაგებობა და მის ადგილას გააშენეს ვენახები და დარგეს ზეთისხილის ხეები. ამ დარბეულთა შორის უცვლელად იდგა მხოლოდ ერთი ქარის წისქვილი. და ნირშეუხრელად განაგრძობდა ბრუნვას თავის ბორცვზე, ორთქლის წისქვილების ჯიბრზე. ის ეკუთვნოდა ბაბუა კორნილს და სწორედ აქ იდგა, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით.

ბაბუა კორნილი იყო ძველი მეწისქვილე, რომელიც უკვე სამოცი წელი ჩასჩიჩინებდა ფქვილს და ძალიან უყვარდა თავისი საქმე. ორთქლის წისქვილების გამოჩენისას ის თითქმის შეიშალა. მთელი კვირის განმავლობაში ვხედავდით, როგორ დარბოდა ის სოფელში, შემოიკრებდა ხალხს და მთელი ხმით გაჰყვიროდა, ამ წისქვილებში დაფქვილი ფქვილით სურთ მოწამლონ მთელი პროვანსიო. „ნუ ივლით მათთან, — ამბობდა ის, — ეგ ყაჩაღები ხორბალს ორთქლით ფქვავენ, ორთქლი კი ჭინკების მოჩმახულია, მე კი ვმუშაობ მისტრალისა და ტრამონტარის[2] დახმარებით, თვით ბატონი ღმერთის სუნთქვით". და ის პოულობდა უამრავ ასეთ მშვენიერ სიტყვას, ქარის წისქვილის შემაქებელს, მაგრამ მას არვინ უსმენდა.

მაშინ გაავებული მოხუცი ჩაიკეტა თავის წისქვილში და მარტოობაში ცხოვრობდა, როგორც ველური მხეცი. მან არც კი მოისურვა თავისთან დაეტოვებინა თხუთმეტი წლის შვილიშვილი ვივეტა,

---

[1] ძლიერი, ცივი და მშრალი ქარი, რომელიც ქრის საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

[2] ჩრდილოეთის ქარი.

რომელსაც მშობლების სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე არავინ დარჩა ბაბუას გარდა. საბრალო გოგონა იძულებული გახდა თვით ეშოვნა საარსებო სახსარი და დაქირავებით ემუშავა ხან იქ, ხან აქ, ფერმებში პურის აღებაზე, ზეთის ხილის კრეფაზე და აბრეშუმის პარკის დამზადებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთვალყურეობას უწევდა შვილიშვილს. ის ძალიან ხშირად დადიოდა ფეხით ოთხი მილის მანძილზე პაპანაქებაში, რომ გოგონასთვის თვალი დაეკრა ფერმაში, სადაც ვივეტა მუშაობდა. ხანდახან ის მთელი საათობით უცქერდა შვილიშვილს და ტიროდა...

ხალხი ფიქრობდა, რომ მოხუცმა მეწისქვილემ სიძუნწის გამო მოიშორა ვივეტა და, თავისდა სამარცხვინოდ, ნებას რთავდა შვილიშვილს ეხეტიალა ფერმიდან ფერმაში, ეთმინა ყოველგვარი უხეშობა მოჯამაგირეებისა და ყველა ვიგინდარათაგან, რის ატანაც უხდებათ ხოლმე სამუშაოზე გასულ ახალგაზრდა გოგონებს. ძალიან არ მოსწონდათ აგრეთვე ისიც, რომ ასეთი საპატიო კაცი, როგორიც მეწისქვილე კორნილი იყო, რომელსაც წინათ ყოველთვის ძალზე ღირსეულად ეჭირა თავი, ახლა ქუჩებში გამოჩნდებოდა მათხოვარივით ფეხშიშველი, დაცხავებული ქუდით, ჩამოძენძილი ქამრით. ის იქამდე დაქვეითდა, რომ როცა კვირაობით ვხვდებოდით ეკლესიაში, ჩვენ, მოხუცებს, გვცხვენოდა მის მაგივრად. თვით კორნილიც მშვენივრად გრძნობდა ამას, რადგანაც უკვე ვეღარ ბედავდა საპატიო სკამზე დაჯდომას. ჩვეულებრივ ის ღარიბებთან ერთად რჩებოდა ეკლესიის სიღრმეში.

მეწისქვილე კორნილის ცხოვრებაში რაღაცა იყო გაუგებარი. უკვე კაიხანია სოფლიდან არავინ ეზიდებოდა მასთან ხორბალს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი წისქვილის ფრთები, თითქოს აქ არაფერიაო, ძველებურად განაგრძობდნენ ბრუნვას... საღამოობით გზაზე შეიძლებოდა შეხვედროდით ძველ მეწისქვილეს, რომელიც ერეკებოდა თავის სახედარს, შეფუთული ფქვილის ტომრებით მძიმედ დატვირთულს.



— საღამო მშვიდობისა, ბაბუა კორნილ! — ეძახურებოდნენ მას გლეხები — შენი წისქვილი, მაშასადამე, კვლავ მუშაობს?

— კი, სულ მუშაობს, ჩემო შვილებო, — ხალისიანად უპასუხებდა მათ მოხუცი. — მადლობა ღმერთს, სამუშაოს სიმცირეზე საყვედური არ მჭირდება.

ზოგჯერ როცა მას ჰკითხავდნენ, საიდან ჰქონდა ამდენი სამუშაო. მაშინ იმას მიჰქონდა თითი ტუჩებთან და მედიდურად პასუხობდა: „სუ! მე ექსპორტისთვის ვმუშაობ". მეტის გაგება მისგან არ შეიძლებოდა.

ფიქრიც კი არავის შეეძლო იმაზე, რომ როგორმე შეეყო ცხვირი მის წისქვილში, თვით პატარა ვივეტამაც ვერ მოახერხა იქ შესვლა.

წისქვილის მახლობლად გავლისას შეიძლებოდა დანახვა მუდამ ჩაკეტილი კარებისა, განუწყვეტლივ მბრუნავი ვეებერთელა ფრთებისა, ბებერი სახედრისა, ნაწიწკნი ბალახისა გუბესთან და ფერდებჩაცვივნული კატისა, რომელიც იჯდა რაფაზე, თბებოდა მზეზე და გაჯავრებით გაჰყურებდა გამვლელთ.

ყოველივე ამის გამო იხლართებოდა საიდუმლო და ეს ბადებდა სხვადასხვა აზრს. თვითეული თავისებურად ხსნიდა მეწისქვილის საიდუმლოებას, მაგრამ დასკვნა ერთი იყო: წისქვილში ფულით სავსე ტომრები უფრო მეტია, ვიდრე ფქვილის ტომრებიო.

დროთა განმავლობაში ყველაფერი გამომჟღავნდა და აი როგორ.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ახალგაზრდობა ჩემი ჰიანურის ხმაზე ცეკვავდა, მე შევნიშნე, რომ ჩემი უფროსი ვაჟი და ვივეტა შეყვარებულნი იყვნენ ერთმანეთზე. არსებითად, მე არ ვიყავი ამით უკმაყოფილო, რადგანაც, ყველაფრის მიუხედავად, კორნილის სახელი ჩვენს შორის პატივისცემით სარგებლობდა. და თუ ეს მშვენიერი პატარა ჩიტუნა, ვივეტა იგოგმანებდა ჩემს სახლში, ეს დიდ სიამოვნებას მომგვრიდა. ერთხელ, რადგანაც ჩვენი შეყვარებულნი ხშირად იყვნენ ერთად, მე გადავწყვიტე, მოსალოდნელი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად, დროზე გამეთავებინა ეს საქმე და მაშინვე გავემართე წისქვილში ვივეტას ბაბუასთან მოსალაპარაკებლად... ოჰ, ბებერი ჯადოსანი! უნდა გენახათ, როგორ მიმიღო; რარიგ არ ვეცადე, არ იქნა და ვერ გავაღებინე კარი. მე, როგორც შემეძლო, ჩაკეტილი კარის ჭუჭრუტანიდან ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი; ვიდრე ვლაპარაკობდი, ის მაცდური, გაძვალტყავებული კატა, როგორც ჭინკა, თავზე დამცინოდა.

მოხუცმა არც კი დამაცადა დამემთავრებინა და ერთობ არა თავაზიანად დამჭყივლა; გასწი ისევ შენს ფლეიტასთან და თუ ვეღარ აგიტანია შვილის უცოლობა, შეგიძლია წაბრძანდე ორთქლის წისქვილში და იქ ამოირჩიო მისთვის საცოლეო...

სისხლი თავში ამივარდა, როდესაც გავიგონე ეს ბრაზიანი სიტყვები, მაგრამ მე მაინც მეყო გო-

ნება თავი შემეკავებინა და დავტოვე რა ბებერი ჩერჩეტი თავის წისქვილის ქვებთან, გავეშურე შემეტყობინებინა ბავშვებისათვის ჩემი მარცხის შესახებ... საბრალო ბატკნებს არ შეეძლოთ ეს დაეჯერებინათ; მათ მთხოვეს, როგორც განსაკუთრებული მოწყალება, დამერთო ნება ორნი წასულიყვნენ წისქვილში, რომ მოელაპარაკათ ბაბუასთან... მე არ მეყო ვაჟკაცობა უარი მეთქვა მათთვის და—ჰეი, ჩემი ჩიტუნები გაფრინდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა მათ იქამდე მიაღწიეს, კორნილი სადღაც წავიდა. კარი გასაღებით იყო მაგრად დაკეტილი, მაგრამ წასვლისას მოხუცს გარეთ დარჩა კიბე და ბავშვებს იმ წუთში მოუვიდათ აზრად შემძვრალიყვნენ ფანჯარაში და ცალი თვალით მაინც შეეხედათ, რა ხდება ამ ყბადაღებულ წისქვილში.

უცნაური საქმეა: ოთახში წისქვილის ქვები არ ჩანდა. არცერთი ტომარა, არცერთი მარცვალი ხორბალი. არავითარი კვალი ფქვილისა კედლებზე, არც ობობას ქსელზე... არ იყო არც ის სასიამოვნო სუნი ახლადდაფქვილი ხორბლისა, რომლითაც საამოდ ფშვინავენ წისქვილები... ხის ტახტი მტვრით იყო დაფარული და მაზე დიდი, გაძვალტყავებული კატა იწვა. ოთახს სილატაკისა და მიგდებულობის იერი ჰქონდა: საძაგელი ლოგინი, რაღაც ძონძები, პურის ნატეხი კიბის საფეხურზე, ხოლო კუთხეში სამი თუ ოთხი დახეული ტომარი, საიდანაც კირი და ღორღი გადმოყრილიყო.

აი, თურმე რაში მდგომარეობდა მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება! ამ ნაგავს ეზიდებოდა ის საღამოობით გზებზე, რომ დაეცვა წისქვილის სახელი და აეძულებინა ყველა, დაეჯერათ, რომ იქ ფქვავენ ხორბალს... საბრალო წისქვილი! საცოდავი კორნილი! უკვე კაიხანია, რაც ორთქლის წისქვილებმა წაართვეს მას სამუშაო. ფრთები კი ჯერ მაინც ბრუნავდნენ, თუმცა წისქვილის ქვები ცარიელნი მოძრაობდნენ.

ბავშვები თვალცრემლიანნი მოცვივდნენ ჩემთან და რაც კი ნახეს, ყველაფერი მიამბეს. მე გული მეკუმშებოდა, როცა მათ ვუსმენდი... არ დამიკარგავს არცერთი წუთი, მივირბინე მეზობლებთან, ორიოდე სიტყვით ვუამბე მათ ყველაფერი და ჩვენ შევთანხმდით მაშინვე წაგვეღო კორნილის წისქვილში მთელი ხორბალი, რაც კი მოგვეპოებოდა. ვთქვით და შევასრულეთ კიდეც. მთელი სოფელი გაუდგა გზას და ჩვენ ავედით მაღლობზე ხორბლით დატვირთული სახედრების მთელი ქარავნით.

წისქვილის კარი ოდნავ იყო შეღებული... კარების წინ კირით სავსე ტომარაზე იჯდა ბაბუა კორნილი, ხელები თავზე მოეჭირა და მწარედ ქვითინებდა. დაბრუნებისას ის მიხვდა, რომ მისი არყოფნისას ვიღაც იყო მასთან და გაიგო მისი საიდუმლოება.

—ოჰ, მე უბედური!—ამბობდა ის,—ახლა მე მხოლოდ სიკვდილიღა დამრჩენია, წისქვილი ნამუსაყრილია!

და ის მოთქვამდა ისე, რომ მის შემხედავს გული გაეპობოდა სიბრალულით. ის თავის წისქვილს სხვადასხვა სახელს უწოდებდა და საუბრობდა მასთან, როგორც ცოცხალ არსებასთან.

აი, სახედრები მივიდნენ და ჩვენ ყველამ ვიწყეთ ხმამაღლა ძახილი, როგორც ძველად, მეწისქვილეთა აყვავების ხანაში ვიცოდით:

—ეი, მეწისქვილევ! ეი, ბაბუა კორნილ! და აი, ტომრები დახვავდა მთლად კარების წინ და საუცხოო ოქრომარცვალა ხორბალი ყოველი მხრიდან იბნევა მიწაზე...

განცვიფრებული ბაბუა კორნილი ფართოდ ახელს თვალებს, ის იყრის ცოტაოდენ ხორბალს თავის გამხდარ ხელისგულზე და ერთსადაიმავე დროს სიცილითა და ტირილით იმეორებს:

—დიახ, ეს ხომ ხორბალია! პატიოსან სიტყვას ვიძლევი! საუცხოო ხორბალია... მომეცით ერთი შევხედო მას!—შემდეგ შემობრუნდება ჩვენკენ:

—ო! მე ვიცოდი, რომ თქვენ დამიბრუნდებოდით! ორთქლის წისქვილების მფლობელები ქურდები არიან.

ჩვენ გვინდოდა ტრიუმფით წაგვეყვანა ის სოფელში.

—არა, არა, ჩემო ბავშვებო, პირველყოვლისა მე მესაჭიროება ჩემი წისქვილის დაპურება... აბა, იფიქრეთ: რახანია, რაც მას არაფერი ჰქონია კბილებში!

ჩვენ ყველას, მოხუცის შემყურეთ, ცრემლები მოგვადგა თვალებზე. ის დაბორიალებდა კუთხიდან კუთხეში, ხან ტომრებს ხსნიდა, ხან წისქვილის ქვებს ათვალიერებდა, იმ დროს, როცა იფქვებოდა ხორბალი და ფქვილის წვრილი მტვერი მიფრინავდა ჭერისაკენ.

უნდა ითქვას, რომ ამ დღიდან დაწყებული ჩვენ არასოდეს არ ვტოვებდით ძველ მეწისქვილეს უსაქმოდ. შემდეგ, ერთ დილით, ბაბუა კორნილი გარდაიცვალა და ფრთებმა ჩვენი უკანასკნელი წისქვილისა შეწყვიტეს ბრუნვა, ახლა კი უკვე სამუდამოდ... კორნილი მოკვდა, და არავინ არ მოსულა მის შემცვლელად. რას იზამთ, ბატონო, ქვეყნად ყველაფერს მოსდის დასასრული და უნდა ვიფიქროთ, რომ ქარის წისქვილების დროც წავიდა, ისევე, როგორც დრო ბრტყელფსკერა გემებისა რონაზე.



თარგმანი:

**მანანა ხაზიურისა.**

# ნუგზარის მწყერები



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე შენ, ჩემო ბიჭიკო, აქ არ მოგაწყენ. იმისთანა მწყერებს დაგაჭერინებ, იმისთანას, რომ შენგან მოწონებული! — უთხრა ბაბუამ ქალაქიდან სტუმრად ჩამოსულ პატარა შვილიშვილს და ღიმილით ჩახედა თვალებში.

— აი, ამას ხომ ხედავ, სათიბია, — განაგრძო ისევ ბაბუამ, — აქ დავაგებთ მახეებს, გავაკეთებთ პაწაწინა ბილიკებს, ნაპირებზე დავასობთ ამ მარყუჟიან ჯოხებს... მწყერებს ძალიან უყვართ ბილიკზე სეირნობა, ქვანქვალი. აფრინდებიან ცოტა მაღლა, გადმოიხედავენ ძირს და ამ ბალახებში შენიშნავენ თუ არა გატკეპნილ ბილიკს, უმალ დაეშვებიან მასზე და დაიწყებენ სიარულს, აი ასე... და ბაბუამ თითებით გააკეთა მოძრაობა, — გაივლიან ცოტას და თავს შეჰყოფენ მარყუჟში, აი ასე. — და ბაბუამ ახლა თითი გაუყარა მარყუჟს, გაუყარა და გაება კიდეც. ნუგზარს ამაზე გულიანად გაეცინა.

— მხიარულად იცინი, მარა მერე უფრო გაიცინებ სიხარულით, როცა აქ გაბმულ მწყერს ნახავ. აჰა, ესეც ერთი მახე უკვე მოვათავეთ. — თქვა მოხუცმა, წელში გაიმართა, დოინჯით დადგა და ბილიკს გახედა, — კაი მახეა, კაი, უთუოდ დავიჭერთ მწყერებს.

მერე ბაბუა და შვილიშვილი სხვა მახეების კეთებას შეუდგნენ. ცოტახანს იმუშავეს და უკვე მზად იყო ოთხი მახე. ეს სრულიად საკმარისი იყო. ამიტომ მათ სათიბი დატოვეს და შინ წავიდნენ.

* * *

ინათა. აღმოსავლეთს სიწითლე დაეტყო. ხეებზე ჩიტები აჟღურტულდნენ. სოფელმა გაიღვიძა. ნუგზარის ბაბუა და სხვა კოლმეურნეები ყანებში სამუშაოდ წავიდნენ. შინ მხოლოდ მოხუცი ქალები და ბავშვები დარჩნენ. ბავშვებს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინათ, ეძინა ნუგზარსაც. მაგრამ აი, ეზოში რაღაცაზე ძაღლი აყეფდა, ნუგზარი შეიშმუშნა. ძაღლი კვლავ აყეფდა. ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა.

— გათენებულა, წავიდე სათიბში, — თქვა და გაიქცა. მურიაც აედევნა. სულ მალე უკვე იქ იყვნენ. ბიჭმა ერთ ბილიკს გახედა. არაფერი ჩანდა. მარყუჟი ისევ ჩვეულებრივად იყო. მერე მეორესთან გაიქცა, მერე მესამესთან, მეოთხესთანაც... მაგრამ... მწყერი არ გაბრიყვებულა, არცერთ მახეს არ გაჰკარებია!

მურია კი ამ დროს ხშირ სათიბში დაძვრებოდა და აფრთხობდა ფრინველებს. ბევრგან აფრინდნენ მწყერები და ფრთქიალით გადაიკარგნენ სადღაც.

— ოხ, გაფრინდა, გაფრინდნენ!— გულდაწყვეტით იძახდა ნუგზარი და მისჩერებოდა გაფრენილ ფრინველებს.

მურიამ მთელი სათიბი შემოიარა და ვერაფერი დაიჭირა. ახლა უკვე მის ყეფასა და ფეხის ხმაზე არ ფრთქიალებდნენ მწყერები. ეტყობოდა, სათიბი სულ დაცალიერებულიყო.

დაღონებული ბიჭი შინ დაბრუნდა. ისაუზმა და ისევ მახეებისაკენ გაიქცა. იქ ფრინველების ჭაჭანებაც არ იყო.

ასე რომ, იმ დღეს ნუგზარმა ასჯერ მაინც მოინახულა მახეები, მაგრამ ასჯერვე გაწბილდა.

საღამოს ბაბუა დაბრუნდა ყანიდან. თოხი ქოხის კუთხეში მიაყუდა და იქვე ჩამოჯდა კუნძზე.

— ბაბუა, ბაბუა, — მივარდა მოხუცს ნუგზარი, — ერთი მწყერიც კი არ გაება მახეში. დღეს სულ მის სანახავად დავდიოდი.

— შენ, ბიჭო, დაგიფრთხია მწყერები. ხშირად ნუ ივლი, თორემ ვერასოდეს ვერ დაიჭერ. ხვალ როცა ასაღამოვდება, მაშინ მიდი.

ნუგზარმა დაუჯერა ბაბუას, სწორედ ისე მოიქცა, როგორც მან ურჩია. ფრთხილად მიიპარა მახესთან, რაღაც ფართხალი მოესმა. „ბიჭოს, გაბმულა, მგონია", გაიფიქრა ბიჭმა. ჭლინკებზე შედგა, კისერი წაიგრძელა და... დაინახა, რომ მწყერი ფართხალებდა, ცოცხალი მწყერი. მივარდა, გამოხსნა მახიდან და ფრთხილად დაიჭირა ცალ ხელში. ახლა მეორე მახისაკენ წავიდა. ეგონა, რომ ყველგან ნახავდა თითო-თითო ფრინველს. ბიჭი მოტყუვდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ ერთი მაინც დაიჭირა, ერთი ლამაზი მწყერი.

მართლაც, რა ლამაზი ყოფილა ეს ფრინველი! ნაცარა, მოკლეკისერა, ფეხებზე ბრჭყალებიც კი არა აქვს. ამიტომ უთქვამს ხალხს: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. როგორ შეჯდება ეს ნაცარა ხეზე.

* * *

— დავიჭირე დავიჭირე,!—ყვიროდა პატარა ბიჭი და ეზოში შემორბოდა.

— ჰო, აი ასე, ჩემო ნუგზარ! შენ კიდევ დაიჭერ, ოღონდ ფრთხილად იყავი! — შემოეგება შვილიშვილს მოხუცი.

— ბაბუა, შენი ჭირიმე, მე არ მინდა მოვკლა ეს მწყერი. გამიკეთე გალია, ბაბუა, გამიკეთე.

— გალია უკვე მზად მაქვს, აი, მოგიტან კიდეც.

ბაბუამ სახლზე კიბე მიადგა, სხვენზე ავიდა და ხის გალია ჩამოიტანა.

* * *

მოახლოვდა შემოდგომა. მალე სასწავლო წელი უნდა დაწყებულიყო. ნუგზარი გამოემშვიდობა საყვარელ სოფელს და ქუთაისში დაბრუნდა. თან მწყერებიც ჩამოიყვანა. ფრინველები ახლა უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, არ ფართხალებდნენ ბიჭების დანახვაზე. ნუგზარს მათთვის ხშირად მიჰქონდა საკვები და წყალი.

— გაჩ, გაჩ გაჩ.. —დაუძახებდა იგი შორიდან. მწყერებსაც ესმოდათ ეს და საკვების მოლოდინში ხტუნვას იწყებდნენ.

მალე მთელ სკოლაში ცნობილი გახდა, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლე ნუგზარ ჯიქია შესანიშნავი ნორჩი ნატურალისტია.

— რატომ არ შეიძლება, რომ იგი მონაწილეობდეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მწყერების მოშინაურება ხომ არც ისე ადვილი საქმეა? — ამბობდნენ ამხანაგები.

მ. აფაქიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორჩ ავტორთა შემოქმედება

## დიდი დღესასწაული

ლაჟვარდოვან ცაზე მიცურავდა თეთრი, ქათქათა ღრუბელი. ის მიიწევდა ზევით, ადიოდა მაღლა და ხელახლა ეშვებოდა ძირს, გადადიოდა ტყეებზე, მინდვრებზე. პაწია ღრუბელი როგორც ხელისგული, ისე დასცქეროდა ქვეყანას. მას ბევრი რამ უნახავს, მაგრამ არაფერს არ განუცვიფრებია. დღეს კი...

აი, მიცურდა ღრუბლის ქულა დიდი ქალაქის თავზე და ძალიან გაუკვირდა, როდესაც ის ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვერ ნახა. ქალაქი ერთიანად ალისფერში იყო გახვეული, ქუჩებში ათასობით ირეოდა ხალხი, ლამაზი მწყობრით მიდიოდა. აი, მის წინ მოხდენილად გაიარეს ნაირნაირმა მანქანებმა, თავზე უზარმაზარმა რკინის ფრინველებმა გადაუქროლეს.

ღრუბელი თითქოს შეშინდა კიდევ და უფრო მაღლა აიწია.

მზემ თავისი გამაცოცხლებელი სხივები მოჰფინა დედამიწას. მზის სხივებზე აბრჭყვიალდნენ სიმტები, პიონერთა საყვირები, დროშების თავები, ერთი სიტყვით, ისეთი თვალისმომჭრელი სინათლე დადგა, რომ ღრუბელმაც ვერ გაუძლო. ის მოიღუშა, გასწორდა და უფრო მოუმატა სვლას. მაგრამ საითაც გადიხედა, ყველგან ხალხის ხმაური, საამო სიმღერების ხმა შემოესმა.

მომხიბლავი სანახაობით გატაცებულმა ღრუბელმა გვიან გაიხსენა დასვენება და როდესაც ის მძიმედ გაწვა მთის კალთებზე მოსასვენებლად, ერთხელ კიდევ დახატა თავისი თვალების წინ დღისით ნანახი და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: ალბათ, დღეს მიწაზე დიდი რამ დღესასწაული ჰქონდა ხალხსო.

მართალი იყო ღრუბლის ქულა: ამ დღეს მოსკოვის თავზე სეირნობისას საპირველმაისო აღლუმი იხილა მან.

**ივანე როსტომაშვილი.**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

## პირველი მაისი

მზის ამოსვლამ სიხარული დაღვარა.
ცისფერ თვალებს აცქრიალებს აისი,
რა ტურფა, რა კეკლუცი ხარ, ბუნებავ,
მოცქრიალდა ჩვენი ცელქი მაისი!

შეიშმუშნა, გაიღვიძა ქალაქმა,
ყვავილები ველს ხავერდად ეგება,
სამაისოდ მოკაზმული ქალაქი
ამ ალიონს ღიმილით შეეგება,

ქუჩს სიცოცხლის ტალღა დაუშრეტელი,
ყვავილები კეკლუც ქუჩებს ამშვენებს
გულს ახარებს ბედნიერი თაობა,
ახალ-ახალ მწვერვალებს რომ აშენებს.

ვიშ ლამაზო მაისის დღევ ცინცქალავ,
შენი ტალღა გულში ფეთქავს ტრიალით,
მოხვალ, ტურფავ, და ყველას
გაგვახარებ,
გეგებებით წითელ დროშის ფრიალით!

**მარეხი ამანათიძე.**

თბილისი, მე-32 სკოლის მე-8 კლ. მოსწ.

## გაზაფხული

აყვავილდა მთა და ველი, ხარობს,
ყვავილების ქოლგა ჰხურავთ თავზე,
მოკაშკაშე მოიმღერის წყარო
გაზაფხულის სალამურის ხმაზე!

o

ირგვლივ მიწა პირს იყვავებს, მღერის,
მზით ნაქარგი ღვივის მწვანე ფარჩა,
დღეებს მოაქვთ სიცოცხლე და ფერი,
თოვლი, ყინვა—ნაპრალებში ჩარჩა!

მღერის მზე და ცისარტყელას აჩენს,
თვალწარმტაცად იკაზმება ველი,
მთიდან ბარში რძე გადმოაქვს ჩანჩქერს,
მოკისკასობს სალამურის ყელით.

o

იმქუხარეთ, მდინარენო, ლხენით,
წამოშალეთ თქვენც, ფოთლებო, ტაში,
ამეტყველდით გაზაფხულის ენით
და ცვარ-ნამი შეისხურეთ ტანში!

**ბუჯგა ჯიჭონაია.**

ქ. ოჩემჩირე, შავი ზღვის რკინიგზის სრული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.

ფასი 50 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კონტუროგრამა



ამ ნახატ-კონტუროგრამაში მოთავსებულია 22 საგანი..
იპოვნეთ და ჩამოწერეთ მათი სახელები.